ABOUT HIV

აივ ინფექცია და შიდსი - საფუძვლები

სიტყვა „აივი“ ნიშნავს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსს.

მრავალი ადამიანი ცხოვრობს აივ-ით წლების მანძილზე ყოველგვარი სიმპტომების გარეშე. მაგრამ აივი გამუდმებით უტევს იმუნურ სისტემას და თანდათანობით იწვევს მის დაზიანებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მკურნალობის და ზრუნვის გარეშე აივი-ით დაინფიცირებული ადამიანი იმყოფება სერიოზული ინფექციეური და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკის ქვეშ, იმ დაავადებების, რომლებსაც ებრძვის ჯანსაღი იმუნური სისტემა.

თანამედროვე მკურალობა მიმართულია ორგანიზმში ვირუსის რაოდენობის შემცირებაზე, რათა იმუნურ სისტემას მიეცეს ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობა. ორგანიზმიდან ვირუსის სრულიად განდევნა ვერ ხერხდება, თუმცა სწორი მკურნალობის და მოვლის შემთხვევაში აივ-ინფიცირებულებს შეუძლიათ დიდხანს და ჯანმრთელად იცხოვრონ.

შიდსი

სიტყვა „შიდსი“ ნიშნავს შეძენილ იმუნოდეფიციტის სინდრომს.

სიტყვა „შიდსი“ გამოიყენება სიცოცხლისათვის საშიში ინფექციური და ონკოლოგიური დაავადებების კომბინაციის განსასაზღვრად, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს აივ-ის მიერ იმუნური სისტემის სერიოზული დაზიანებისას.

შიდსის დიაგნოზის დასმისას აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო ზრუნვა და მკურნალობა, რამაც შეიძლება გააძლიეროს იმუნური სისტემა და დაუბრუნოს ადამიანს ჯანმრთელობა. აივ-ის მკურნალობის ეფექტურობის წყალობით მრავალი ადამიანი, ვისაც განუვითარდათ შიდსი თავს კარგად გრძნობენ და მათ აქვთ ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრების პერსპექტივა.

როგორ გავიგოთ რომ დავინფიცირდით აივ-ით?

აივ-ზე ტესტირება არის დიაგნოსტირების ერთადერთი სარწმუნო საშუალება.

არსებობს ტესტირების რამდენიმე სახეობა. შეიძლება სისხლის ნიმუში აღებულ იქნას ხელიდან, ან თითიდან. ზოგიერთი ტესტის დროს ხდება ღრძილის გარშემო სითხის გამოყენება.

თანამედროვე ტესტების მეშვეობით, როგორც წესი, შესაძლებელია ინფექციის არსებობის დადგენა ინფიცირებიდან ერთი თვის განმავლობაში. წარსულში საჭირო იყო სამი თვის განმავლობაში ლოდინი სარწმუნო პასუხის მისაღებად.

თუ ტესტის პასუხია „აივ-პოზიტიური“, ეს ნიშანვს, რომ თქვენ გაქვთ აივი. თუ ტესტის პასუხია „აივ-ნეგატიური“, ეს ნიშნავს, რომ თქვენ არ გაქვთ აივი. ზოგი ტესტი დადებითი პასუხის შემდეგ საჭიროებენ დამატებით ტესტირებას კონფირმაციისათვის.

ჩვეულებრივ, ტესტირებამდე ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა გაესაუბრონ ვინმეს და დაუსვან მათ ნებისმიერი მათთვის საინტერესო შეკითხვა. პირი, რომელიც აწარმოებს ტესტირებას, აგიხნით ტესტის მოქმედებას და თუ როგორ გახდება თქვენთვის პასუხი ხელმისაწვდომი.



როგორ გადაიცემა აივი?

აივი აღმოჩენილია სხეულის სითხეებში. იგი აღმოჩენილია, ინფიცირებისათვის საკმარისი რაოდენობით, გენიტალურ სითხეებში (ვაგინალური სითხე, სათესლე სითხე და სწორი ნაწლავის სითხე), სისხლში და დედის რძეში.

აივ-ის გადაცემის ძირითადი გზებია:

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

აივ ინფექცია და შიდსი - საფუძვლები

- დაუცველი ანალური, ვაგინალური და ორალური სექსი,
- საინიექციო მოწყობილობის გაზიარება და
- დედიდან ბავშვზე ორსულობისას, მშობიარობისას და ძუძუთი კვებისას.

როდესაც აივ-ინფიცირებულები ღებულობენ ეფექტურ აივ-მკურნალობას, აივ-ის რაოდენობა მათი სხეულის სითხეებში საგრძნობლად კლებულობს. მაშასადამე, ძალზე დაბალია ვირუსის გადაცემის რისკი.

კონდომები ასევე შესანიშნავი დამცავი საშუალებაა აივ-ის გადაცემისგან სქესობრივი კავშირის დროს.

თუ თქვენ ხართ ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებელი, არ გამოიყენოთ ზიარი ნემსები ან სხვა საინიექციო მოწყობილობა.

შეუძლებელია დაინფიცირდეთ აივ-ით აივ-ინფიცირებულების კოცნისას, ჩახუტებისას, ხელის ჩამორთმევისას, ან ჩვეულებრივი სოციალური კონტაქტის სხვა სახეობის განხორციელებისას. ასევე შეუძლებელია აივ-ის შეძენა აივ-ინფიცირებულებთან ერთად ერთ სივრცეში ყოფნისას, საოჯახო ნივთების გაზიარებისას, როგორიცაა ჭურჭელი, დანა-ჩანგალი ან საწოლის თეთრეული.

აივი არ გადაიცემა გადანეწყვებთ, დაცემინებით, ხველით.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220